№ 89, აპრილის 27, შაბათი. 1866—1885 აპრილის 27, შაბათი. № 89.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ქილაქების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 კ. [illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცი გაასწორებს და შეამოკლებს დახარჯულად გამოგზავნილ წერილებს, [illegible] წერილებს რედაქცია კერ ღებულობს ავტორ[illegible]

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ центр. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка № 6.

[illegible]

ვისაც ღლიმდე არ შემოუტანია სკოლის ფასი ვალზეისა, რედაქცია სთხოვს დაარჩარონ თუ ლის ვალ მოგზავნა.

(5—5)

ქართული თეატრი

კვირას, აპრილის 28-ს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ეხლანდელი სიყვარული

სცენები ყოველ ღლიურ ცხოვრებიდამ 4 მოქმედ.

II

მეჯლიში იტალიელებით

ოპერეტა 1 მოქმედ. მუზიკა ოფენ ბახისა.

ანტრაკტებში დაუკრავს ორკესტრი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

სათავად-აზნაურო

სკოლის კრება

ხუთშაბათს საღამოს, რვა საათზე, სათავად-აზნაურო სკოლის ახალის სადგურის ზალაში შეიყარა ორმოცდა ათამდე კაცი საზოგადო კრებაზედ. უმრავლესობას შეადგენდენ მასწავლებელნი და თბილისში მცხოვრებნი წევრნი ამ საზოგადოებისა. სოფლიდამ ჩამოსული თითქმის არავინა სჩანდა. ეს იმით აიხსნება, რომ სოფლელ თავად-აზნაურობას უფრო ბანკისა და სათავად-აზნაურო კრებისკენ მიუწევს გული და რადგან რამდენიმე დღე იყო ამ კრებამდის დარჩენილი, სოფლის თავად-აზნაურობა ჯერ არ დაძრულიყო თავიანთ მამულებიდამ.

კრებაზე დაესწრნენ, სხვათა შორის ბორის ბაზრის მარშალით. კ. შალიკაშვილი დაოელავისა თ. რ. ვახვახიშვილი

ბ-ნ გუბერნიის მარშალმა, თუმცა მუდამ თბილისში სცხოვრობს, კრებაზედ დასწრება არ ინება.

სწორედ რვა საათზედ ერცელს ზალაში გაისმა ზარის ხმა და თავმჯდომარემ კომიტეტისამ და კრებისამ ღირსად პატივცემულმა კ. ძ. მამაცაშვილმა გახსნა კრება.

წამოდგა ინსპექტორი სკოლისა ბ-ნი ვას. ყიფიანი და წაიკითხა ერცელი ანგარიში წარსულის წლისა—1884 წლის მაისის 1-დამ 1885 წლის მაისის 1 მდე. ამ ანგარიშიდამა სჩანს შემდეგი:

1884 მაისის პირველს კასაში იყო გირავნობის ფურცლებით. . . .	3700— ,,
ნაღდ ფულად. . .	406—48
საანგარიშო წელს შემოვიდა: თბ. სათავად-აზნ. ბანკიდამ	22,426—19
საწევრო ფული . .	98— ,,
პანსიონერებისგან. .	4098— ,,
გარეშე შეგირდებისაგან	270— ,,
ბალიდამ	895—70
გირავნობის ფურცლების სარგებელი . . .	222— ,,
სახელმძღვანელოებისა და სხვა ნივთების ფასი .	6—,,
სარგებელი საზოგადოების ფულისა . .	100—21
სულ. . .	28116—23
წინანდლიანად იქნება:	
ნაღდი ფული . . .	285228—71
გირავნობის ფურცლები	3700—,,
ამავე ხნის განმავლობაში დაიხარჯა: ძველი სადგურის რემონტზე . . .	351—30
სახლის ქირა . . .	4500 ,,
პანსიონერების სმა-ჭამა	660—21
ამათი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. . . .	1287—29
ლეიბებისა და ბალიშების გაახლება . .	106— ,,
სკოლის სახლისა და მისი სამზარეულოს გათბობა, ...	821—88
სკოლის სახლის განათება	48— 3
საკლასო ნივთები .	897—20
სასწავლო ნივთები .	338—52
სახელმძღვანელო წიგნები	492—32
სკოლის ბიბლიოთეკის წიგნები	192—55
ავეჯეულობა . . .	38—66
ჯამაგირები ინპექტორისა, მასწავლებლებისა, აღმზრდელებისა, ეკონომისა, ექიმისა და კომიტეტის სეკრეტრისა . . .	10575—20
მოსამსახურეების ჯამაგირი	1190—98
სარეცხი	455— ,,
ღარიბ მოსწავლეთა შემწეობა	2765— ,,
აბანო	66—45
ქანცელიარიის ხარჯი .	47— ,,
საავადმყოფოს ხარჯი.	120—79
წერილმანი ხარჯი. .	411 15
სულ . .	27365—53

[illegible]

ძველი ქართული ოჯახი

წერილი მეორე

ქალის დებს და აღბუღას სამართალს თავი რომ დავანებოთ და ვახტანგის საკუთარს სამართალს მივმართოთ, საოჯახო უფლებას იქ უფრო განვითარებულს და შემუშავებულს შევხვდებით. როგორც წინადაც შევნიშნეთ, ქალის დებს და აღბუღას სამართალი მოკლედ მოგვითხრობენ ოჯახზედ, მის არსებაზედ; მათში საოჯახო წესებს იშვიათად პოულობს მეძიებელი. ესეც უნდა იყოს, თუ არ დავიიწყებთ, რომ ერთიც და მეორეც შეადგენენ უძველეს კანონთა კრებას, სადაც საოჯახო უფლება არ საჭიროებს განმარტებას, რადგანაც ოჯახის მამა თითონ თავის პიროვნებით წარმომადგენელია ყოველგვარი საოჯახო უფლებისა, მისი ნება თვით კანონია. ამ მხრივ, როგორც სხვაფრიადაც, მეფე ბიორგის და აღბუღას სამართალს ცხადად ეტყობა ძველის უფლების საზოგადო მიმართულება და ხასიათი. თითქმის ყველა ხალხის ძველი საოჯახო უფლება მარტივია, მეტად ღარიბია კერძო წესებით. ამასვე ვპოვებთ ჩვენს ძველს სამართალშიც. მეორე მოვლენა, ფაქტიც საყურადღებოა მკითხველისათვის: როგორც საზოგადოდ ძველს უფლებას [38]), ისრე კერძოდ ქალის დებს და აღბუღას სამართალს განსაკუთრებითი ხასიათი სდევს,—ერთსა და მეორეში პირველი ადგილი უჭირავს სისხლის დაურვებას, მათში უფლება და კანონი უმეტეს ნაწილად სისხლის სამართლის მიმართულებისაა, უფრო ამ სამართლის ბძანებას მისდევს. საოჯახო უფლებაც, რავდენად იგი ალიარებულია მეფე ბიორგის და აღბუღას სამართალში, უფრო სისხლის სამართლის ხასიათისა და მიმართულებისაა. ყველა ამასთან არ უნდა დავიიწყოთ ეგრეთვე ის გარემოებაც, რომ ძველი კანონი უმეტესად სდევნის იმ გვარ ბოროტ-მოქმედებათა, რომელნიც ხალხის ცხოვრებაში მუდმივს და საყოველთაო მოვლენას შეადგენენ. ძველს საოჯახო ცხოვრებაში ამ გვარი მუდმივი და საყოველთაო მოვლენაა ქალის ძალად წაგვრა, მოტაცება, ცოლის გაშვება, დატოვება. ეს, რისათვის ქალის დებს და აღბუღას სამართალი უმთავრესს ყურადღებას აპყრობენ ამ მოვლენას, სდევნიან მას. სად მოიპოვება საბუთი ამ მოვლენისა, რომელიც ძველს საოჯახო ცხოვრებაში ცნობილია პირველ ჩვეულებად? საბუთს უჩვენებს სოციოლოგიური მეცნიერება, რომელმაც დაასკვნა, დასძინა აზრი, რომ პიროვნულს ცოლ-ქმრობას წინ უძღვის ქალის მოტაცება, ძალად წაგვრა [39]). ქალის ძალად წაგვრა, რაიცა ასე აშკარად გვაუწყებს მის ზნეობრივს დამცირებას, არა-სანატრელს იურიდიულს მდგომარეობას, ჩვენს ძველ ცხოვრებაშიც მუდმივს მოვლენას შეადგენდა და კიდეც ამიტომ მასზედ იყო მიპყრობილი უმთავრესი ყურადღება ძველის კანონისა. ეს მოვლენა, რომელსაც ჩვენი მთიელები ეხლაც თავიანთ ძველ ჩვეულებად ალიარებენ და ჯერ კიდევ მტკიცედ იცავენ მას, უძველესის დროის ნაშთია, მავნებელ ჩვეულებას შეადგენს, არღვევს საზოგადოებრივს წესიერებას და, რასაკვირველია, მისი აღმოფხვრა საჭირო იყო. და სანატრელი კანონისათვის. თუ ქალის ძალად წაგვრა წინაალმდეგია ჰუმანიურად განწყობილის საოჯახო ცხოვრებისა და ამ ხშირს ბოროტ-მოქმედობაზედ თვისი უპირატესი ყურადღება მიქცეული აქვთ ქალის დებს და აღბუღას სამართალს, მაშ ოჯახში ქალს შედარებით მცირე უფლება უნდა ჰქონოდა. და სწორედაც ასე იყო არა თუ ქალის დებში, არამედ აღბუღას სამართალშიც და არა ასე, როგორც ჰფიქრობს პატივცემული ავტორი „ისტორიულ სურათებისა“, ვითომ „იმათ ორივეს (ქმარს და ცოლს) ერთნაირად უწევიათ ჭაპანი პოლიტიკურის და სამოქალაქო ცხოვრებისა, რადგან ერთგვარი უფლება ჰქონიათ საზოგადოებაში და ოჯახში“ [40]).

[38]) Г. С. Мэнъ, Древнее Право, гл. X, стр. 287—292.

[39]) სხვათა შორის, ძველ რუსეთშიც, სადაც დიაცის მოტაცების გარდა იცოდენ საცოლოს სყიდვა. საბერძნეთში, რომლისაგანაც საქართველომ და რუსეთმა მიიღეს საეკლესიო წეს-წყობილება, პირველად, ქრისტიანობის დროსაც, ცოლ-ქმრობას საზოგადო მოქალაქობრივი პირობის, ხელ-შეკრულობის ხასიათი ჰქონდა (договоръ); მხოლოდ ლეონ ბრძენის დროს შემოიღეს ეკლესიური ქორწინება (886—911 წ.) Ал. Савельевъ, стр. 5—8. მაშ ძველს საქართველოშიც მეათე საუკუნის ადრე ეკლესიური ქორწინება არ უნდა ყოფილიყო...

[40]) «ივერია» № XII 1882 წ. გვ. 95—96. მღ. დიმ. ჯანაშვილს თავის აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს 141 მუხლი აღბუღას სამართლიდამ. პირველად, მუხლი შეცდომით არის მოყვანილი; ჯოგის წაგვრა

ამ ჟამად საზოგადოების კასაში არის ნაღდ ფულად . . . . . 1157—18
ბირაოს ფურცლებით 3700— ,,

მაისის პირველამდე დაახლოვებით დაიხარჯება 100 მანათი, ასე რომ მომავალი საანგარიშო წლისათვის დარჩება ნაღდ ფულად 1057—18.

შემოსავალ-გასავლის ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, ინსპექტორმა წაიკითხა მოხსენება სკოლის მდგომარეობაზედ. აი, რამდენიმე საყურადღებო ცნობა ამ ანგარიშიდამ:

ამ ჟამად სკოლა შესდგება მოსამზადებელი კლასის 4 განყოფილებისა და 3 პროგიმნაზიური კლასისაგან. წარსულს საანგარიშო წლის დამლევს სკოლაში ითვლებოდა 210 მოწაფე. ეგზამენების შემდეგ ამათგანი შემდეგს კლასებში გადავიდა 152, დარჩა 58. საანგარიშო წელში სკოლიდამ გავიდა 16 მოწაფე. ამათგან კლასიკურ გიმნაზიებში 5 შეავიდა. დანარჩენებზე სკოლას არავითარი ცნობა არა აქვს. ამ წელს მიღებულ იქმნა 79 მოწაფე, ეხლა სკოლაშია 267 მოწაფე. ამათგან მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში — 48, მეორეში—37, მესამეში—58, მეოთხეში—51; პირველ პროგიმნაზიულ კლასში—40, მეორეში—20, მესამეში—13. თუმცა ზოგიერთ კლასებში მეტის-მეტი ეიწროობაა, მაგრამ კომიტეტი ამ მიზეზით ვერ უხშობს კარს მრავალ სწავლის მსურველთ.

ყველა მოწაფენი არიან ქართველნი მართლ-მადიდებელნი. მხოლოდ ორი მათგანი სომეხია და ორი ქართველი მაჰმადიანის სარწმუნოებისა.

მასწავლებელთა პერსონალი შესდგება ერთის ინსპექტორისა, ექვსი მუდმივი და შვიდი დროებით მოწვეულის მასწავლებლებისაგან.

სწავლა მოსამზადებელი კლასის მესამე განყოფილებიდამ პროგიმნაზიის მესამე კლასამდე მიდიოდა საგნურის წესით, ესე იგი რამდენიმე მასწავლებელნი ასწავლიდენ თავ-თავიანთ საგანს. ხოლო პირველსა და მეორე განყოფილებაში — კლასურის წესით, ესე იგი თითო განყოფილებას მარტო ერთი მასწავლებელი ჰყვანდა ყველა საგნებისა.

პროგრამა იგივეა, რაც კლასიკურ გიმნაზიებში, მხოლოდ ქართულს ენას უჭირავს ყველგან ჯეროვანი ადგილი და ამას გარდა ბერძნულს ენას მოწაფენი მესამე კლასში არა სწავლობენ.

საანგარიშო წელს პანსიონერების რიცხვი იყო 57. აქედამ 23—სრულს საზოგადოების ხარჯზე, 10 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე (100 მანათი წელიწადში) და დანარჩენი-24 თავიანთ ხარჯზე (200 მან. წელიწადში).

საანგარიშო წელში გახსნილა ვაკანსია 6 სრული საზოგადოების ხარჯისა და 7 ნახევარ-ხარჯისა. ამ 13 ვაკანსიაზედ შემოუტანიათ 108 თხოვნა. ქენჭის-ყრით მიღებულნი ულარიბესნი მოწაფენი ეკუთვნიან თავადაზნაურობის წოდებას.

ამ ჟამად პანსიონში ირიცხება 51 მოწაფე. ამათგან საზოგადოების სრულს ხარჯზე 20, ნახევარ ხარჯზე 13 და თავიანთ ხარჯზე 18.

ბევრს მშობლებს არ შემოუტანიათ თავიანთ ხვედრი ფული და ამ ჟამად მათზედ არის დარჩენილი ვალი სკოლისა 4653 მ. 86 კ.

შენობა სკოლისა ფრიად ხალვათი და სრულია. ამის გამო სკოლაში არა ჩნდება ხოლმე ავადმყოფობა, მაშინ როდესაც მთელს ქალაქს სხვადა-სხვა გადამდები სენი აქვს მოდებული.

ბარედამ მოსიარულე მოწაფენი მეტად ღარიბნი არიან. 216 მოწაფეში სასწავლო ფული შემოაქვს მხოლოდ 15-ს, ისიც გაჭირებით. ბამგე კომიტეტი წარსულ წელში 43 გარეშე მოწაფეს აძლევდა შემწეობას ფულით ყოველ თვე-და-თვე. ბარდა ამ შემწეობისა, თითქმის ყველა მოწაფეებს ურიგდებოდათ წიგნები, ქაღალდი, რვეულები და სხვა წერისათვის საჭირო ნივთები.

ანგარიში თავდება მწუხარების გამოცხადებით, რომ წელს ბანკს აღარა აქვს ნაღდი მოგება სკოლის დასახმარებლად, მაგრამ კომიტეტს მაინც წარუდგენია ბანკისათვის საჭარაუდო ანგარიში მომავალის წლისა და აცხადებს, რომ ბედი და უბედობა სკოლისა დამკერებულია იმაზე, თუ როგორ გულ-მხურვალედ მოეკიდება თავად-აზნაურთა ბანკის საზოგადო კრება სკოლის ინტერესებს.

ამ ანგარიშის გამო გამოწვეულს ბაასს ხვალ დავბეჭდავთ.

შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ დღეს დილის 10 საათზედ, არწრუნისეულს თეატრში იწყება წლიური საზოგადო კრება თბილისის საადგილ-მამულო ბანკისა.

⊖⊖⊖ ამ დღეებში გარდაცვალებულს ალ. ტნიკოვს, როგორც შევიტყეთ, 200 მანათი წინამძღვრი შვილის სამეურნეო სკოლისთვის უანდერძებია.

⊖⊖⊖ ბუშინ ჩვენ გადმოვბეჭდეთ „მოსკოვს უწყების“ სემინარიის რექტორის დეკანოზ ... ...

ჩვენ თავ. სუმბათაშვილის და მუსრან-ბატონის საქმე.

∞∞ სოლოდუხაში მძვინვარებს წითელა; ზოგს ოჯახში რამდენიმე ეძინოდა ერთად მაწვინა ამ სენმა. („ნოვ. ობზ.,

დავა შუა აზიაში

◆◆ რუსულს გაზეთებს აიმედებენ სტამბოლიდამ რომ დარდანელს სრუტე ისეთ რიგად გაამაგრეს ამ ცოტას ხანში, რომ ინგლისის ხომალდებს ძალით შემოსვლა არ მეუძლიანთ შავს ზღვაშიო. — ოსმალეთის სახელმწიფო კაცები ერთს აზრზე ვერ დამდგარან. ერთის მხრით ესენი თითქოს მზად არიან გაყვნენ გერმანიის რჩევას, მაგრამ მეორეს მხრითკი იმასაც ჰფიქრობენ — წააგებს თუ არა ოსმალეთი, რომ მკაცრი ნეიტრალიტეტი დაიცვას, არც ერთსა და არც მეორეს არ მიემხრობა. ამ ორს საგანზეა ამ ჟამად გამუდმებული თათბირი როგორც ლორდ გრენვილისა და ჰასან-ფემი-ფაშისა აგრეთვე დანარჩენ ინგლის-ოსმალელ დიპლომატებ შორის. ჯერ-ჯერობით ვერაფერი გადაწყდა ამ თათბირობით. მხოლოდ, ეტყობა, ინგლისი კმაყოფილი უნდა იყვეს ამ მოლაპარაკებით, რადგან მან სპეციალურის მონდობილობით გაგზავნა სტამბოლს თვისი ელჩი (რუმინიაში) უაიტი. როგორც გამოცდილს დიპლომატს, უაიტს დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან ოსმალეთის მმართებლობითს წრეებში. ამ დიპლომატზე დიდს იმედს

ამყარებენ ლონდონშიო. დარწმუნებულნი არიან, რომ იგი დაიყოლიებს ოსმალეთს ინგლისის კავშირზე. მაგრამ თვით ეს გარემოება ასეთის გამოცდილის დიპლომატის გაგზავნა სტამბოლში — მოწმობსო, რომ მორიგება ინგლისისა და ოსმალეთის შორის ჯერ არ მომხდარაო. თვით ოსმალეთი-კი კიდევ ყოყმანებს, არ იცის, რას დაადგეს. მმართებლობითს წრეებში თითქმის ერთ-რიგად ეშინიანთ, როგორც ომის, აგრეთვე მშვიდობიანობის ჩამოგდებისაც, რადგან ეს უკანასკნელი გარემოება, აუცილებლად გამოიწვევდა „აღმოსავლეთის საქმის“ გამო შეთანხმებას რუს-ინგლისის შორის.

◆◆ Новости-მ არ დაუტევა „საოცარი გაძახილი“ .. „ვერა ვითარს საფუძველს ვერ ვხედავთ ჩვენ მშვიდობიანობისათვის — იწერება ეს გაზეთი. ვერ შევჩერდებით რაღაც“ შეთხზულს საზღვარზე“, ვერ დავკმაყოფილდებით უდაბნო, სილიან ნიადაგით, მაშინ, როდესაც კმარა ერთი ნაბიჯის გადადგმა და შევალთ ნოყიერს, ნაყოფიერს ჰერათში. აქ თუ შეიძლება მცირე ხნით დაბანაკება ჩვენის ჯარისა, სანამ ისტორიული მოძრაობა ჩვენი არ მიგვიყვანს ინდოეთის ოკეანემდე. ინგლისელები, რასაკვირველია მასპინძლობას არ გაგვიწევენ, გულგრილად ვერ დაუწყებენ ცქერას ამ მოძრაობას. მაგრამ, რაკი ჰერათი ჩვენს ხელთ იქმნება, მაშინ უფრო დავიყოლიებთ ინგლისელებს მშვიდობიანობაზე, უფრო დავაჯერებთ, რომ ჩვენი ახლო მეზობლობა მათს სამფლობელოებთან მეტად სასარგებლო იქმნებოდა როგორც ჩვენთვის, ისე

ინგლისისათვისაც და შუა ნეიტრალური ადგილის დატოვება-ი ხშირად გამოიწვევდა ჩვენსა და მათს შორის განხეთქილებას. ინგლისელებმა საგრძნობელი ზარალი მოგვცეს ჩვენ ეკონომიურის მხრივ; ეს აქვთ მხოლოდ მათ სახეში, როდესაც აჭიანურებენ ომის გამოცხადებას; ჩვენც შეგვიძლიან მივყვეთ ამ მაგალითს: ვიყვიროთ მეგობრობაზე, მშვიდობიანობის სარგებლობაზე და ჰერათის ენკი გაველაშქროთ, ენერგიული მოქმედებაა ამ ჟამად საჭირო, რომ დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს ამ გაჭიანურებულს საქმეს. ინგლისს არავითარი უფლება არა აქვს ჰერათზე და მაშ მისი განზრახვაც, რომ წინაალუდგეს ჩვენს მოქმედებას, რუსეთის შეურაცხებას ნიშნავს. ბანა ჩვენ დაგვეკითხენ ინგლისელები, როდესაც დაიჭირეს ქიპრი, ეგვიპტე და ჰამილტონი. მაშ ბევრი ბოდიში არც ჩვენგანაა საჭირო.

◆◆ ინგლისის ზღვის სამინისტროს ბრძანება მიუცია ხმელთა შუა ზღვაში მყოფ ბრიტანიის ფლოტისათვის კუნძალტასთან შეგროვდენ, სადაც სამხედრო მანევრები უნდა მოახდინონ.

◆◆ ბაიაზეთიდამ სწერენ ოსმალურს გაზეთს „თარიქს“: „არზრუმის სამხედრო შტაბმა ბრძანება მიიღო გადმოვიდეს აქ (ბაიაზეთს) და შეუდგეს ჩვენი ქალაქის გამაგრებას.“

◆◆ ლონდონიდამ აცნობებენ Presse-ს: „გენ. უელსლეი ძაირიდამ სუაკიმში წავიდა. მას მინდობილი აქვს განაწყოს სუდანში თავიუფლად დარჩომილი ჯარი, რუსების საწინააღმდეგოდ და ან ინდოეთში გასაგზავნად იქაური ჯარის მისაცვლად.

◆◆ Standard-ის სიტყვით, თუ ინგლისისა და რუსეთის შორის განხეთქილება ჩამოვარდა, ეს თავ-და-პირველად დიპლომატიურის მოლაპარაკებათა მოსპობით გადიკლის. ოფიციალურს წრეებში დაბეჯითებით ამბობენო, რომ რუსის მმართებლობა მალე მიუწერსო ჰერათზე გალაშქრებას; სამაგიეროდ ინგლისიც არ დაიყოვნებს დაიჭიროს ქვეთა და ყანდაარი. რუსის ელჩმა სტაალმა განუცხადა ლორდ გრენვილს, რომ თუ ინგლისი გულიდამ არ გამოიღებს ყანდაარის დაჭერას — რუსები იძულებულნი შეიქმნებიან დაუყოვნებლივ დაიჭირონ ჰერათი.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საგენტოსი“

აპრილის 25-ს

კრონშტატი, დღეს გაიხსნა ნაოსნობა საზღვარ გარეთთან. სავაჭრო გემთ-საყუდრის დახურვაზე გავრცელებული ხმები ტყუილი გამოდგა. ამ საგნის შესახებ აქ არაფერი ბრძანება არ მოსულა; ამ ჟამად ისჯება საქმე შუა ნავთ-საყუდრის თავობაზე; სავაჭრო ნავთ-საყდური დამზადებულია გემების მისაღებად.

ლონდონი. გაზ. „Daily News“-ი ამბობს: რუსეთმა განაცხადა, რომ კვლავ ადარ გამოიჩენს დაუდგრომელ-

მამისა; არც ერთში და არც მეორეში ოჯახის მამის კერძო ბოროტ-მოქმედებას არა სძევს საზოგადო-ოჯახური ხასიათი, მისი დანაშაულობა მთელი ოჯახის დანაშაულობა არ არის, თუმცა კი ოჯახის მამას მაინც დიდი უფლება აქვს ოჯახის წევრებზე. მაგ., ბერძნულის სამართლის ძალით მამას შეეძლო შვილის გასყიდვა: „უკეთუ ვინმემ თავის სილარიბით გაყიდოს ვინმე შვილი, ვაჟი ანუ ქალი, გასყიდვა იგი დაიჯერების“ (ბერძნული სამ. მუხ. ია); ეგრეთვე სომხურმა სამართალმა იცის შვილის გასყიდვა, თუმცა კი ეს გასყიდვა ნაძალადევ-სომხურად უნდა ყოფილიყო, — ივეკ არ უნდა გაესყიდა მამას შვილი, — „თუ ვინმემ რასაც დაჭირებისათვის გაყიდოს თავისი ქალი, მიყიდოს ქრისტიანესა, ასრე ნუ მიყიდის, როგორც რომ სხვა ტყვე, ივეკ“... (მუხ. სე) ზემოდხსენებულიდამ ცხადად სჩანს, რომ ძველი ქართული ოჯახი წარმოადგენდა განუყოფელს ორგანიულს სხეულს, რომელიც ოჯახის მამის საკუთრებად ირიცხებოდა. სისხლის სამართალსაც, ზოგიერთა შემთხვევაში, საზოგადო-ოჯახური ხასიათი ჰქონდა. ეს ამტკიცებს — თუ რა მკვიდრი კავშირი არსებობდა ოჯახის მამის და ოჯახის წევრთა შორის; მაგრამ ეს კავშირი

სრულიად როდი სთრგუნავდა თვითეულის წევრის თავისუფლებას, — არა, მთავარ საოჯახო ძალას გვერდით უდგა ოჯახის წევრის საკუთარი პიროვნული უფლება. თუ ოჯახი მთლად შეადგენდა ოჯახის მამის საკუთრებას, რასაკვირველია, თვითეული წევრიც ეგრეთვე მისს საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ საკუთრებას, თუ შეიძლება ასე ითქვას, განსაზღვრულს არა სრულს. როცა გარემოება და საჭიროება მოითხოვდა, ოჯახის მამას ხელი მიუწვდებოდა როგორც მთელს ოჯახზედ, ისრე თვითეულს პირზედ, — აქ საზოგადო და კერძო ერთსა და იმავე საგანს მისდევდა, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, ვითომ კერძო პირს თავისი საკუთარი აღარა რჩებოდა-რა. საზოგადო-საოჯახო უფლებას, როგორც შევნიშნეთ, გვერდით უდგა კერძო პიროვნული უფლება და თუმცა პირველი სძლევდა მეორეს, მაგრამ სრულებით კი არ სპობდა მას. არსებითი განსხვავება ვახტანგის სამართლის ოჯახისა გამოიხატა ამ ორთა ელემენტთა შეერთებაში, დაკავშირებაში და აქ უნდა მოიძებნოს უმთავრესი მიზეზი იმ საყურადღებო მოვლენისა, რომ ძველი ქართველი შემკული იყო ისეთი თვისებებით, რომელნიც ძირეულად ეწინააღმდეგებიან

დესპოტური ოჯახის გაელენას, ზედ მოქმედობას. და რომ ოჯახის მამა არ იყო უსამზღვრო პატრონი ოჯახისა სჩანს იქიდამაც, რომ მას შვილების შესახებ ჰქონდა საზოგადო-საოჯახო უფლებასთან ეგრეთვე დისციპლინარული ძალა, უფლება. — შვილს შეეძლო მამას მოშორებოდა, მამისათვის საზრდოც კი არ მიეცა; ხშირად, როცა საჭიროება თხოულობდა, მამა სახლობასთან ერთად თავის თავსაც ჰსყიდდა [45]). ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ოჯახმა წინ ნაბიჯი წასდგა, თავიდამ აიცილა ძველი ბარბაროსული უსამზღვრო ძალა ოჯახის მამისა, თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ ვახტანგის სამართალი გარკვევით არ განმარტავს — სად თავდებოდა ეს უსამზღვრო ძალა და სად იწყებოდა ოჯახის წევრის თავისუფლება. ნაჩვენები ხასიათი სისხლის დაურეგვებისა (ოჯახის მამის დანაშაულობას საზოგადო საოჯახო მნიშვნელობა ჰქონდა) ხსნის მეორე საყურადღებო მხარეს ჩვენის ოჯახის წყობილობისას, — ეგრედ წოდებულს გვაროვნობითს მიმართულებას სისხლის სამართლისას — როცა ერთის პირის დანაშაულობა

[45]). Груз. Крес. грам, стр. 3, 6, 9. 12, 13, 35, 36,49; იხილე მისივე Двор. грам, стр. 33.

მთელის გვარის დანაშაულობად ითვლებოდა — თუმცა, საზოგადოდ რომ ითქვას, უარ ყოფილიყო ვახტანგის სამართალში, მაგრამ მისი მცირედი ნაშთი ოჯახში ისევ დარჩა; გვარმა, ტომმა დაჰკარგა თვის, ძველი მნიშვნელობა, მეტადრე ქონებრივს ურთიერთობაში და ნაშთი მისის სისხლის სამართლის განწყობილებისა მხოლოდ ოჯახში-ღა დარჩა. მაგრამ სანამდის ამ საგანს თავს დავანებებდეთ, ჩვენ უნდა ვუჩვენოთ ერთი მოვლენა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს მოხსენებულ სისხლის სამართლის მიმართულებასთან, მის ხასიათთან: თუ კანონი თხოულობდა დამნაშავე ცოლ-შვილით მისცემოდა სისხლში, მაშ ამითი აიხსნება, რომ ძველს საქართველოში საბატონო გლეხებსაც კი თავიანთი საკუთარი გლეხები ჰყვანდათ ყმებათაო, — ასე ჰფიქრობენ ზოგიერთა მწერალნი. აქ მიზეზი მართლა არის ნაჩვენები, თუმცა კი ეს მიზეზი არ არის პირველი და უკანასკნელი. ბლეხის „სისხლი“ მეტად მცირე იყო, ადვილად გადასახადი და თუ ნაჩვენებს მიზეზს ადგილი ჰქონდა, მასთან ერთად სხვა მიზეზნიც მოქმედობდენ.

(შემდეგი იქნება).

ლობას, არ გინიზრახავს ჭერათის ადებას.

ინგლისის ბანკმა დასწია დისკონტი $3\frac{1}{2}$ დან 3% ზედ.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოტროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 აპრილიდან 1 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუსეთის ფქვილისა —	—1	გირ.	5 ბ.
საქაურის ფქვილისა: პირველის სარისისა---	—1	ბ.	$2\frac{1}{2}$
მეორისა — —	—1	ბ	2 ბ
იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:			
პირველი სარისისა	—1	ბ.	$4\frac{1}{2}$
მეორისა — —	—1	ბ.	3 ბ.
მესამისა — —	—1	ბ.	$2\frac{1}{2}$
ჯვარის-მამის პური:			
პირველის სარის ლიკვაში	1	ბ.	$4\frac{1}{2}$
მეორის სარის. ლიკვაში	1	ბ.	$3\frac{1}{2}$
მესამისა — —	—1	ბ.	3 ბ
ძროსის ხორცი:			
პირველის სარისისა—	1	ბ.	9 ბ
ძეორისა — —	—1	ბ.	8 ბ.
სუკი— — —	—1	ბ.	16 ბ.
ცხვრის ხორცი—	—1	ბ.	10 ბ
ღორის ხორცი:			
პირველის სარისისა	1	ბ.	
მეორისა —	—1	—	ბ.

რკინის გზა

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის
8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ
10 საათზე და 45 წამზე დილით.
(სამშაბათობით და შაბათობითსაჩქარო 10 ს. 58 წ. ღამით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ
12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან და ბათუმიდან მოშავალი თბილისში შემოდის
10 საათზე და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდან მოშავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით.

ბაქოდან მოშავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდან ათ მანათამდე**, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი
(25—13) გ. ქართველიშვილი.

ქუთაისში,

ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირდა-პირ, საკუთარ შენობაში.
(14—10)

შოკოლადი
ს. სიუ და კ°.
(Ц. 2542).
(46—11)

სასეიფოო ბაღში
„მუშტაიდში“
მუდამ საღამოს, კარგს ამინდში, ამ აპრილში და მაისშიაც დაუკრავს სამხედრო მუსიკა. (4—4)

არყის ხის ბალზამი
დოქტორის ლენგილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელი სატუალეტო საშუალება მთელის განათლებულის ქვეყნების ქალებისა.

აძლევს კანს სპეტაკს სითეთრეს, სპობს ჭორფლს, ფერიჭამელას, ასუფთავებს მზისაგან გარუჟლულს სახეს, ასწორებს მოღმეჭილს ადგილებს და აძლევს კანს სინაზეს და ყმაწვილურს შესახედაობას.

მეტის მეტად სასიამოვნოა ხმარების დროს.

რუსეთში შემოტანა ნება დართულია ს.-პეტერბურგის სამედიცინო დეპარტამენტისაგან.

ბევრი სიყალბე სუფევს!! ამისათვის გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ შემდეგს: თეთრს რძის ფერს ფლაკონს, კაპსიულებზედ ავსტრიულს გერბს (არწივს), ეტიკეტს, რომელზედაც ფაბრიკის მარკაა (ქალი არყის ხის ქვეშ იმყოფება და სურა უჭირავს ხელში) და ვიწრო იარლიკს რუსულის ზედ წარწერით.

საშუალება ნაცადია 35 წლის განმავლობაში.

1884 წელს მილიონ ნახევარზედ მეტი ფლაკონია გაყიდული!!! ფლაკონი ღირს 1 მან. 65 კაპ. უცხო ქალაქების მცხოვრებნი 60 კაპ. გასაგზავნს უმატებენ.

იყიდება რუსეთის ყველა საფთიაქო მაღაზიებში: **მოსკოვში რ.** ალერთან და კომპ. კ. ფერსინთან, გეშლინგთან, ბ. ბრუკსთან, ლიუშერთან, ბირშფელგინთან, მატესეისენთან, **ს.-პეტერბურგში** საფთიაქო საქონლის სავაჭრო რუსეთის საზოგადოებაში, **თბილისში** საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ქავკასიის საზოგადოებაში და მისსავე განყოფილებაში ქ. ბაქოს.

Ц. 12.233 (12—2)

Приготовляются къ печати и выйдутъ въ свѣтъ двѣ книги:

СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ

Михаила Николаевича

ВОРОНОВА

ВЪ СТИХАХЪ И ПРОЗѢ

(СЪ ФОТО-ЛИТОГРАФИРОВАННЫМЪ ПОРТРЕТОМЪ АВТОРА)

и большой интересный историческій романъ

„РЕНЕГАТЪ“

изъ временъ Карла Мартела

Первая изъ названныхъ книгъ, то есть **Собраніе Сочиненій Воронова** будетъ отпечатана на роскошной атласистой бумагѣ и, кромѣ того, каждый экземпляръ будетъ въ коленкоровомъ, малиноваго или синяго цвѣта, переплетѣ, съ золотымъ тисненіемъ на корешкѣ и крышкахъ и съ золотымъ обрѣзомъ.

Вторая книга, то есть романъ **Ренегатъ** принадлежитъ къ числу замѣчательнѣйшихъ произведеній литературы Появленіе его произвело громадный фуроръ и доказательствомъ того, на сколько онъ интересенъ, служитъ то, что **Ренегатъ** переведенъ на языки: Англійскій, Нѣмецкій, Испанскій и Голландскій Вслѣдствіе этого, г. Вороновъ льститъ себя надеждою, что русское общество отнесется къ **Ренегату** съ такимъ же восторгомъ, съ какимъ отнеслись къ нему другіе образованные народы.

Романъ **Ренегатъ**, хотя будетъ отпечатанъ не такъ роскошно какъ сочиненія Воронова, однакоже на хорошей плотной бумагѣ и каждый экземпляръ его будетъ въ красивомъ шагреневомъ переплетѣ.

Хотя Г. Вороновъ не можетъ, въ данное время, обозначить съ точностью срокъ выхода своихъ сочиненій и романа **Ренегатъ**, тѣмъ не менѣе онъ проситъ лицъ, желающихъ имѣть названныя книги не медлить своими требованіями.

Цѣна обѣимъ книгамъ, по выходѣ ихъ въ свѣтъ, будетъ **СЕМЬ РУБЛЕЙ**. Приславшіе же деньги **до выхода** платятъ только **ПЯТЬ РУБЛЕЙ** и, кромѣ того, имъ будутъ высланы, въ видѣ преміи, нѣсколько хорошенькихъ разсказовъ.

ПРИМѢЧАНІЕ.

Московскіе и провинціальные книжные магазины и библіотеки для чтенія, желающіе принимать подписку на выше названныя книги, пользуясь 20% за коммисію, благоволятъ заявить объ этомъ Г. Воронову для того, чтобы имъ могло бы быть выслано подробное объявленіе, наклеенное на картонъ.

Обращаться по слѣдующему адресу: **Москва, Тверская, д. Фальцъ-Фейна**, М. Н. Воронову (3—2)

Доз. ценз. Тифлисъ, 26 Апрѣля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაზანდელი.